საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„აჭარა“

„აჭარა“, სააქციო საზოგადოება, უმაღლესი „ბ“ თანრიგის სამვარსკვლავიანი სასტუმრო თბილისში. აშენდა 1975 (არქიტ. მ. მელია), გაიხსნა 1976 იანვარში. სასტუმრო 22-სართულიანი იყო. ჰქონდა 310 ნომერი 592 საწოლი ადგილით. ემსახურებოდა უცხოელ და რესპ. მოქალაქეებს. სასტუმროში შედიოდა 3 რესტორანი, 4 ბარი, კაფე-ექსპრესი, კაფე-სანაყინე, საზაფხულო კაფე, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. სასტუმროს შენობაში მოთავსებული იყო აგრეთვე კომერც. ბანკი, ვალუტის გაცვლის პუნქტი, საფოსტო განყ-ბა, „საქპრესისა“ და სააფთიაქო კიოსკები, სუვენირების მაღაზია, ტექ. მომსახურების სამსახური, კონფერენცდარბაზი, საპარიკმახერო სალონი, სამორინე ტოტალიზატორი და სხვ. 1996 „ა.“ ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა.

2010 ქართ. ბაზარზე საერთაშ. სასტუმროების ქსელი „ჰოლიდეი ინნ“-ის შემოსვლის შემდეგ განხორციელდა შენობის რეკონსტრუქცია. „ა-ს“ გადაერქვა სახელი და მის მაგივრად ფუნქციონირებს სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ თბილისი“, რ-საც მართავს „აჭარა ჯგუფი“.

ქ. ადეიშვილი

მ. თოქმაზიშვილი